

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის
იუნკრებზე სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და მოცულობა**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში (შემდგომში - აკადემია) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის იუნკრებზე (შემდგომში - იუნკერი) სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და მოცულობა განისაზღვრება წინამდებარე დოკუმენტით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ტერმინთა განმარტებებია:

ა) აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა (კოეფიციენტი - 0,6) - იუნკერის მიერ სასწავლო სემესტრის განმავლობაში თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული შეფასებების საშუალო მნიშვნელობა. აკადემიური მოსწრების საშუალო ქულა გამოითვლება თითოეულ სასწავლო კურსში მიღებული სემესტრული შეფასებისა და სასწავლო კურსის კრედიტის გათვალისწინებით. აღნიშნული ქულის გამოთვლის მიზნით, ყოველი სასწავლო კურსის სემესტრული შეფასება მრავლდება სასწავლო კურსის კრედიტზე და მიღებული ნამრავლების ჯამი იყოფა მოცემული სემესტრის სასწავლო კურსების კრედიტების ჯამზე.

ბ) ლიდერობის შეფასების ქულა (კოეფიციენტი - 0,3):

ლიდერობის შეფასება ხორციელდება აკადემიის სასწავლო ბატალიონის „იუნკერთა ლიდერობის შეფასების სახელმძღვანელოს“ შესაბამისად. შეფასების შედეგები გადაეცემა აკადემიის საგამოცდო ცენტრს.

გ) ფიზიკური მომზადების საშუალო ქულა (კოეფიციენტი - 0,1) - ფიზიკური მომზადების სამივე სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული.

დ) იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულა გამოითვლება, აკადემიური მოსწრების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,6) ნამრავლს დამატებული ლიდერობის შეფასების ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,3) ნამრავლი და დამატებული ფიზიკური მომზადების საშუალო ქულისა და მისი კოეფიციენტის (0,1) ნამრავლი.

მუხლი 3. სტიპენდიის გაცემის კრიტერიუმები და მოცულობა

1. სტიპენდია გაცემა აკადემიის იუნკრებზე ყოველთვიურად, ერთი სემესტრის (სემესტრის დასაწყისიდან შემდეგი სემესტრის დაწყებამდე) განმავლობაში, წინა სემესტრის იუნკერთა რეიტინგული ქულების საფუძველზე, იუნკერთა რანჟირების დოკუმენტის შესაბამისად, შემდეგი ოდენობით:

ა) წარჩინებული იუნკერი - 300 ლარი;

ა.ა) წარჩინებულად ითვლება იუნკერი, რომელსაც:

ა.ა.ა) აქვს შეფასება „ფრიადის“ შესაბამისი სემესტრული რეიტინგული ქულა (91 – 100 ქულა);

ა.ა.ბ) სემესტრის ყველა სასწავლო კურსში მისი სემესტრული შეფასება შეესაბამება შეფასებას „ფრიადი“ (91 – 100 ქულა). დასაშვებია მხოლოდ ერთ სასწავლო კურსში ჰქონდეს მიღებული შეფასება „ ძალიან კარგი“ (81 – 90 ქულა)

ა.ა.გ) ფიზიკური მომზადების თითოეულ სახეობაში (წოლბჯენიდან აზიდვა, მუცლის პრესი, სირბილი) მიღებული აქვს 90 ქულა და მეტი

ა.ა.დ) დაკლებული აქვს არაუმეტეს 10 დისციპლინური ქულისა;

ბ) წარჩინებული იუნკრების განსაზღვრის შემდეგ დარჩენილ იუნკერთა პირადი შემადგენლობის 10%-თვის – 200 ლარი;

გ) 90%-თვის - 100 ლარი;

2. პირველი კურსის იუნკრებს, რომლებიც წარმატებით გაივლიან აკადემიის იუნკერთა საწყისი საბრძოლო მომზადების კურსს, აკადემიის საბაკალავრო პროგრამის პირველი სემესტრის განმავლობაში ყოველთვიურად მიეცემა სტიპენდია 50 ლარის ოდენობით.

ა) აკადემიაში პირველი კურსის იუნკერთათვის სტიპენდიის გაცემა ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ხორციელდება სწავლების მეორე სემესტრიდან

3. იუნკერის სემესტრული რეიტინგული ქულის გამოთვლას და იუნკერთა რანჟირებას ახორციელებს აკადემიის საგამოცდო ცენტრი. აღნიშნული მონაცემები, სტიპენდიის მოცულობის განსაზღვრის მიზნით, გადაეცემა აკადემიის სასწავლო სამსახურს.

4. გადაწყვეტილება იუნკერთათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ ფორმდება აკადემიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტიპენდია გაიცემა, რეიტინგული ქულის შესაბამისად იმ იუნკრებზე, რომლებმაც წინა სემესტრის აკადემიურ მოსწრებაში და ფიზიკურ მომზადებაში მიიღეს დადებითი შეფასება, ასევე, რომელთა მიმართ წინა სემესტრში გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა არ აღემატება 20 საკრედიტო ქულას.

6. იუნკრებზე, რომლებსაც წინა სემესტრში დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად დაკისრებული აქვთ 20 საკრედიტო ქულაზე მეტი საკრედიტო ქულის გამოკლება, არ შეიძლება გაიცეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტიპენდია.